საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერაძე გრიგოლ აკაკის ძე

ბერაძე გრიგოლ (გიზო) აკაკის ძე (4. X. 1930, სოფ. მუხიანი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, –25. IX. 2001, თბილისი), მოცეკვავე. საქართვ. დამს. არტისტი (1966), მსოფლიო ახალგაზრდობის V (ვარშავა, 1955, I პრემია და ოქროს მედალი) და VII (მოსკოვი, 1957, ორი ვერცხლის მედალი) ფესტივალების ლაურეატი.

1955 დაამთავრა თბილ. პოლიტექ. ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი. სტუდენტობის წლებში ცეკვავდა ამავე ინ-ტის თვითმოქმედ საესტრადო ანსამბლში (ხელმძღვ. ი. ტუღუში). 1955 – 58 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. ფილარმონიაში სოლისტ-მოცეკვავედ. პარალელურად სწავლას განაგრძობდა პოლიტექ. ინ-ტის ასპირანტურაში, მექანიზმების და მანქანების თეორიის კათედრაზე. 1958 – 62 ცეკვავდა საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. დამს. აკად. ანსამბლში (ხელმძღვ. ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი).

საყოველთაო აღიარება ხვდა მის მიერ შესრულებულ ცეკვებს: „ფარიკაობა“, „მთიულური“, და „ყაზბეგური“ (ი. ზედაშიძესთან ერთად). მის შესრულებას ახასიათებდა ცეცხლოვანი ტემპერამენტი. მაღალი პროფ. ოსტატობა. 1968-იდან მუშაობდა საქართვ. მოდისა და ჩაცმის კულტურის სახელმწ. ცენტრში ჯერ მთ. ინჟინრად, ხოლო 1971-იდან – დირექტორად.